საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 6/00 „23" მარტი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების

სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

„23" 03 2011 წელი

ეგზ. N2

ობიექტი:

საქართველოს საელჩოში ლიტვის რესპუბლიკაში ფინანსური და შესაბამისობის

აუდიტი

პერიოდი: 01/01/2010-01/01/2011

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96

ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136; www.control.ge

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება	გვ. 4
2. გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება	გვ. 9
დასკვნა	გვ. 13
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 14
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 14
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 16 ნოემბრის №96/43 და 18 ნოემბრის N173/42 ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს საელჩო ლიტვის რესპუბლიკაში. იურიდიული მისამართი: 13.Poshkos str.Vilnius, LT-08123, Republic of Lithuania

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯერენაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და მთავარი აუდიტორი ავთანდილ ვასაძე.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 25/11/2010 – 24/01/2011 (დაწყება-დამთავრება).

საელჩოში პასუხისმგებელი პირები:

გიორგი ქერდიყოშვილი - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიტვის რესპუბლიკაში;

ირაკლი წითელაშვილი - ფინანსური მენეჯერი.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ:

გიორგი ქერდიყოშვილი - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიტვის რესპუბლიკაში

ირაკლი წითელაშვილი - ფინანსური მენეჯერი

შემოკლებანი:

საქართველოს საელჩო ლიტვის რესპუბლიკაში - საელჩო.

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიტვის რესპუბლიკაში - ელჩი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო -სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი -მინისტრი.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

მნიშვნელოვანი დარღვევა ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

III. ძირითადი ტექსტი

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება;

„საქართველოს საელჩოს ლიტვის რესპუბლიკაში 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვით"[1] საელჩოს 2010 წელს ასიგნება დაუმტკიცდა 355.7 ათასი ევროს ოდენობით (869.3 ათასი ლარი), ხოლო დაზუსტებულმა ასიგნებამ[2] შეადგინა 353.9 ათასი ევრო (840.4 ათასი ლარი).

2010 წლის განმავლობაში საელჩოს დაფინანსებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგინა 353.9 ათასი ევრო. მათ შორის:

- სამინისტროს მეშვეობით ხაზინიდან უნაღდო ფორმით მიღებულია 342.3 ათასი ევრო;
- საელჩოს მიერ ადგილზე მიღებულია საკონსულო მოსაკრებლები -1.7 ათასი ევრო და სხვა შემოსავალი (წინა წლის დაბრუნებული დღგ) - 2.7 ევრო (საელჩოში დაფინანსების სახით არის დატოვებული);
- სამოქალაქო რეესტრიდან (საკონსულო შემოსავალი) - მიღებულია 0.2 ათასი ევრო;
- საელჩოს დაფინანსებიდან საელჩოს საჭიროებისათვის სამინისტროს მეშვეობით საქართველოში გაწეულია 5.2 ათასი ევროს ხარჯი[3];
- საელჩოს მიერ შტატგარეშე თანამშრომლებისთვის დაქვითული საშემოსავლო გადასახადი - 1.8 ათასი ევრო საელჩოსთვის არის დატოვებული, ამასთან სამინისტროს მეშვეობით ეს თანხა საელჩოს დაფინანსებიდან არის მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში.

[1] დამტკიცებულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 2009 წლის 29 დეკემბერს
[2] დამტკიცებულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს
[3] სპეც/კავშირის ღირებულება 4.7 ათასი ევრო, საბუღალტრო პროგრამა „ორისი"' და სისტემა „კოდექსის „ განახლება-0.3 ათასი ევრო, საფოსტო მომსახურება და სხვა - 0.2 ათასი ევრო

საბალანსო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ იხილეთ ცხრილი (ევრო):

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
	I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		3.00
030	საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	1211	3	126.00
040	სავალუტო ანგარიში ბანკში	1212		0.00
080	ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1221	162.00	23.00
140	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410		7800
270	სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1446	189	0
	II. არაფინანსური აქტივები			
280	შენობა-ნაგებობები	2110		
290	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	76,637.00	62,226.00
300	სხვა ძირითადი აქტივები	2130	32.00	302.00
	ბალანსი		**77023**	**70,480.00**
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი		
	I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
420	ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	3224	163.00	23.00
	II. კაპიტალი			
580	წმინდა ღირებულება	5100	76,860.00	70,457.00
	ბალანსი		**77023**	**70480**
	III. საცნობარო მუხლები			
640	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	1269	1671
680	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	55107	85630

საბალანსო ანგარიშებზე ასახული ფინანსური ოპერაციებისა და რიცხული ნაშთების აუდიტით გამოვლინდა:

- 1110 – „ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში“ –
  ნაშთი წლის დასაწყისსა და ბოლოს არ ერიცხებათ. ამ ანგარიშზე ხდებოდა ლიტვის ეროვნულ ვალუტაში (ლიტი) სალაროს მრავალრიცხოვანი ოპერაციები. აუდიტის ჯგუფის მიერ მიცემულ იქნა რეკომენდაცია შემცირებულიყო სალაროს ოპერაციები.

საელჩოს მიერ გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია - შედეგად 2010 წლის დეკემბერში შეწყვეტილი იქნა სალაროს ოპერაციები და დაიხურა ლიტების სალაროს წიგნი.

- 1120 –„ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში“ -
  ნაშთი წლის დასაწყისში არ ერიცხებოდათ, წლის ბოლოს კი ნაშთმა შეადგინა 3 ევრო. ამ ანგარიშზე აისახება ევროთი ანგარიშსწორება ნაღდი ფორმით, რისთვისაც საელჩო აწარმოებს ევროში სალაროს ოპერაციებს და სალაროს წიგნს.
- 1211 –„საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში“ -
  წლის დასაწყისში არსებული ნაშთი 3 ევრო გაიზარდა 126 ევრომდე (ამ ანგარიშზე აისახება ანგარიშსწორება ლიტვის ეროვნულ ვალუტაში).
- 1212 –„სავალუტო ანგარიში ბანკში“ -
  ამ ანგარიშზე აისახება სამინისტროდან საელჩოსთვის ჩარიცხული დაფინანსება და შემდგომი ხარჯვა ევროში. დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯების გაწევიდან გამომდინარე ანგარიშზე საწყისი და საბოლოო ნაშთები არ აღირიცხება.
- 1221 –„ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“-
  წლის დასაწყისის ნაშთი 162 ევროდან შემცირებულია 23 ევრომდე. ანგარიშზე აისახება საკონსულო მოსაკრებლების მოძრაობა. საკონსულო მოსაკრებლების მიღება ხდება ლიტებში, რომლის აკუმულირების და სამინისტროს მიერ დაფინანსებაში ჩათვლის შემდეგ, გადადის 1211 საბალანსო ანგარიშზე, შემდგომში ხარჯების გაწევის მიზნით.
- 1410 –„მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ -
  ნაშთი წლის დასაწყისში არ ერიცხებოდათ, წლის ბოლოს კი ერიცხებათ 7.8 ათასი ევროს ოდენობით, რაც წარმოადგენს წინასწარ გადახდილი ოფისის იჯარის ქირას.
- 1446-„სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები“ -

ირიცხებოდა 189 ევროს ოდენობის საწყისი ნაშთი, რაც წარმოადგენდა სამინისტროს მიერ ზედმეტად ჩათვლილ საშემოსავლო გადასახადს, რაც სამინისტროს მიერ აღდგენილი იქნა 2010 წლის განმავლობაში და ნაშთი განულდა.

- 2120-„მანქანა-დანადგარები და ინვენტარი"-

  ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 76.6 ათას ევროს. აქედან სატრანსპორტო საშუალებები ერიცხებოდათ 59.4 ათასი ევროს ღირებულებით, რომლის ნაშთი წლის ბოლოს ცვეთის დარიცხვისა და ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისი კორექტირების (შეყვანილია ცვეთის თანხაში) შემდეგ, შეადგენს 50.6 ათას ევროს;

  სხვა მანქანა-დანადგარები და ინვეტარის საწყისი ნაშთი -17.2 ათასი ევროდან, 2.1 ათასი ევროს ოდენობით კორექტირებისა და 3.5 ათასი ევროს ცვეთის დარიცხვის შემდეგ გახდა 11.6 ათასი ევრო.

  სულ კი ანგარიშზე საბოლოო ნაშთმა შეადგინა 62.2 ათასი ევრო.

  აღსანიშნავია, რომ ელჩის 2010 წლის 20 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა, საინვენტარიზაციო კომისიამ, ჩაატარა საელჩოს ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. წარმოდგენილია ინვენტარიზაციის შედეგები, საინვენტარიზაციო უწყისის სახით, რომლის შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო აღრიცხვის რაოდენობრივ მონაცემებსა და სახეზე არსებულ ინვენტარს შორის სხვაობა არ გამოვლენილა, ხოლო ინვენტარიზაციით დადგენილი ღირებულების (წინა წლის ცვეთის თანხის კორექტირების გამო) შესაბამისად კორექტირება მოხდა 2120 საბალანსო ანგარიშის ნაშთში.

- 2130-„სხვა ძირითადი აქტივები" -

  წლის ბოლოს ნაშთმა ორისის პროგრამის შეძენის შემდგომ შეადგინა 0.3 ათასი ევრო, რაც შესყიდულია ცენტრალიზებულად, სამინისტროს მიერ საელჩოს დაფინანსებით.

- 3224-„ ბიუჯეტის წინაშე სხა ვალდებულებები“-

  ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 163 ევროს და შემცირდა 23 ევრომდე.

- „წმინდა ღირებულება“-

  წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 76.9 ათას ევროს.

  წმინდა ღირებულების შემცირების გამომწვევი ფაქტორები: „საქონელი და მომსახურებით“ ხარჯებში ჩამოიწერა 347.9 ათასი ევრო; „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ - 12.3 ათასი ევრო; ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები 4.3 ათასი ევრო (2010 წელს მიღებული საკონსულო მოსაკრებელი -1.6 ათასი ევრო და 2010 წელს დაბრუნებული წინა წლის დღგ და აქციზი-2.7 ათასი ევრო). სულ შემცირება - 364.5 ათასი ევრო.

  წმინდა ღირებულების გაზრდის გამომწვევი ფაქტორები: ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შეადგენდა 353,8 ათას ევროს; სხვა შემოსავლები -4.3 ათასი ევრო. სულ ზრდა -358.1 ათასი ევრო.

  წლის ბოლოს წმინდა ღირებულებამ შეადგინა 70.5 ათასი ევრო.

- ლიტვის საელჩოს 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილ ბალანსში საცნობარო მუხლებში:

  04 - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ - არ იყო დაფიქსირებული 1269 ევროს ოდენობის ნაშთი,

  08 - „ამორტიზირებული ძირითადი აქტივები“ -არ იყო დაფიქსირებული 55107 ევროს ღირებულების ამორტიზირებული ძირითადი აქტივები.

  წინასწარი აუდიტისა და გასვლითი აუდიტის მსვლელობისას, აუდიტის ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციებითა და საელჩოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2010 წლის 9 თვის ბალანსში შეტანილი იქნა ეს ნაშთები, რაც თავისთავად ასახული იქნა 2010 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში საწყის ნაშთად,

აქედან გამომდინარე კი - წლის ბოლოს „04"-საცნობარო მუხლში ნაშთმა შეადგინა 1.8 ათასი ევრო, ხოლო „08" საცნობარო მუხლში - 85.6 ათასი ევრო.

აღსანიშნავია, რომ „08"-საცნობარო მუხლში ნაშთების ზრდასთან ერთად, წლის განმავლობაში განხორციელებულია 10.8 ათასი ევროს საწყისი საბალანსო ღირებულების 32 ერთეული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ბალანსიდან, რაც განხორციელებულია კანომდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.

რეკომენდაცია

- საელჩომ მაქსიმალურად შეამციროს სალაროს ოპერაციები, მასთან დაკავშირებული თანდაყოლილი რისკის თავიდან აცილების მიზნით.
- საელჩომ სათანადო ყურადღება მიაქციოს ბალანსის საცნობარო მუხლებში შესაბამისი ნაშთების აღრიცხვას.

2. გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება;

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ მუხლებში, გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, ხარჯების გაწევა შემდეგნაირად მიმდინარეობდა (ევრო):

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯის მეტობა(+)/ ნაკლებობა (-)	ფაქტ. ხარჯი	ფაქტ. ხარჯის მეტობა(+)/ ნაკლებობა (-)
მთლიანი ხარჯი (I+II)	**353949.34**	**353668.53**	**-280.81**	**372670.76**	**18721.42**
I. მიმდინარე ხარჯები საქონელზე და მომსახურებაზე	**353949.34**	**353668.53**	**-280.81**	**347915.76**	**-6033.58**
ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის ანაზღაურება	**34514.89**	**28641.00**	**-5873.89**	**28830.00**	**-5684.89**
მივლინებები	**214353.54**	**213698.83**	**-654.71**	**213698.83**	**-654.71**
გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯები	204958.90	206758.00	1799.10	206758.00	1799.10
შვებულების ხარჯები	4892.40	3735.83	-1156.57	3735.83	-1156.57
მოკლევადიანი მივლინებების ხარჯები	4502.24	3205.00	-1297.24	3205.00	-1297.24

ოფისის ხარჯები და ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები	**85573.00**	**96814.68**	**11241.68**	**90872.91**	**5299.91**
წარმომადგენლობითი ხარჯები	**15006.13**	**10864.35**	**-4141.78**	**10864.35**	**-4141.78**
სხვა ხარჯები	**4502.00**	**3649.67**	**-852.33**	**3649.67**	**-852.33**
ბანკის მომსახურების ხარჯები	600.00	419.96	-180.04	419.96	-180.04
ა/მანქანების დაზღვევის ხარჯები	3902.00	3229.71	-672.29	3229.71	-672.29
II. ძირითადი კაპიტალის მოხმარება				**24755.00**	

- „ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის ანაზღაურებისთვის" დამტკიცებული იყო 34.5 ათასი ევრო. გაწეულ იქნა 28.6 ათასი ევროს საკასო და 28,8 ათასი ევროს ფაქტობრივი ხარჯები.

ხარჯები გაწეულია სამ ხეკლშეკრულებით მომუშავეზე. მათგან ერთი საქართველოს მოქალაქეა და მისთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი - 2.0 ათასი ევრო მიმართულია საქართველოს ბიუჯეტში, ხოლო ორი - ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეა და მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი - 1.7 ათასი ევრო, მიმართულია ლიტვის რესპუბლიკის ბიუჯეტში (აქვე მიიმართება ლიტვის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ლიტველი თანამშრომლებისათვის სოც.დაზღვევის სავალდებულო გადასახადი -5.7 ათასი ევრო, რაც საელჩოს გახარჯული აქვს მისთვის დამტკიცებული „სხვა ხარჯების" მუხლიდან).

საელჩოში არ მოიპოვებოდა საელჩოში მომუშავე ლიტვის მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მარეგულირებელი დოკუმენტები.

აუდიტის მსვლელობისას, აუდიტის ჯგუფის მიერ, მოძიებული და საელჩოსთვის წარდგენილი იქნა შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები.

- „გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ხარჯებში" - დამტკიცებული 205.0 ათასი ევროს გეგმის პირობებში, გაწეულია 206.8 ათასი ევროს ოდენობით საკასო და ფაქტობრივი ხარჯები. გეგმაზე მეტად გაწეულია 1.6 ათასი ევროს ხარჯი.

ხარჯები გაწეულია საელჩოს 6 თანამშრომელზე, მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად.[4]

- „შვებულების" ხარჯებისთვის დამტკიცებული იყო 4.9 ათასი ევრო, რის ფარგლებშიც გაწეულია 3.7 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.
- „მოკლევადიანი მივლინების ხარჯები", დამტკიცებული 4.5 ათასი ევროს პირობებში, გაწეულია 3.2 ათასი ევროს ოდენობით.
- „წარმომადგენლობით ხარჯებში" დამტკიცებული 15.0 ათასი ევროს პირობებში, სულ გაწეულია 10.9 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯები.
- „სხვა ხარჯების" მუხლში დამტკიცებული იყო 4.5 ათასი ევროს ხარჯი, გაწეულია 3.6 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯები. აქედან „ავტომანქანების დაზღვევის ხარჯები"-ს გეგმა შეადგენდა 3.5 ათას ევროს (3.2 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯი), ხოლო „ბანკის მომსახურების ხარჯები"-ს გეგმა 0.6 ათას ევროს (0.4 ათასი ევროს საკასო და ფაქტობრივი ხარჯი).
- „ოფისის ხარჯების„ და „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები"-ის მთლიანი გეგმა შეადგენდა 85.6 ათას ევროს. ამ მუხლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 96.9 ათასი ევრო, ფაქტობრივმა ხარჯებმა კი შეადგინა 90.9 ათასი ევრო, ანუ ამ მუხლებში გეგმის გადამეტებით გაწეულია შესაბამისად 11.3 ათასი ევროს და 5.3 ათასი ევროს ხარჯი.[5]

---

[4] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ";

[5] ამასთან დღგ-ს და აქციზის დაბრუნების გარეშე საკასო ხარჯები შეადგენდა108.0 ათას ევროს და ფაქტობრივი ხარჯები შეადგენდა 99.9 ათას ევროს, ხოლო დაბრუნებულმა დღგ-მ შეადგინა 6.5 ათასი ევრო, დაბრუნებულმა აქციზმა კი - 4.6 ათასი ევრო, რითაც შემცირდა ფაქტობრივი ხარჯი. ამასთან წლის განმავლობაში მოხდა 2.1ათასი ევროს ღირებულების ძირითადი აქტივების ღირებულების კორექტირება, რითაც გაიზარდა ფაქტობრივი ხარჯი.

კერძოდ, დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, ხარჯების გაწევა კონკრეტულ მუხლებში შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

- „ოფისის ხარჯების„ მუხლში შემავალი „საოფისე იჯარის“ მუხლში დამტკიცებული იყო 39.2 ათასი ევროს ხარჯი, წლის განმავლობაში გაწეული იქნა 39.1 ათასი ევროს საკასო და 31.3 ათასი ევროს ფაქტობრივი ხარჯები[6] (ამ მუხლში დღგ და აქციზი არ დაბრუნებულა). საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია 7.8 ათასი ევროს, ავანსის სახით გადახდით.

- „ოფისის ხარჯების„ მუხლში შემავალი „სპეცკავშირის სააბონენტო ხარჯების“ მუხლში საკასო ხარჯებმა შეადგინა 5.2 ათასი ევრო, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 4.9 ათასი ევრო (ამ ნაწილში დღგ და აქციზი არ დაბრუნებულა). სხვაობა გამოწვეულია სამინისტროს მიერ საელჩოს დაფინანსებიდან 269 ევროს ღირებულების „ორისის“ პროგრამის შეძენით, რომლის ფაქტობრივ ხარჯში ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტები საელჩოში არ არის წარმოდგენილი.

- „ოფისის ხარჯების“ მუხლში შემავალ დანარჩენ მუხლებში გაწეულმა საკასო და ფაქტობრივნა ხარჯებმა შეადგინა 34.2 ათასი ევრო (ამ მუხლებში დაბრუნდა დღგ და აქციზი)[7].

- „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები“-ის მუხლში გეგმა შეადგენდა 19.5 ათას ევროს. გაწეულია 29.4 ათასი ევროს ოდენობით საკასო და ფაქტობრივი ხარჯები. მათ შორის საწვავის შეძენის ხარჯები, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები

[6] წარმოდგენილია განახლებული საოფისე იჯარის ხელშეკრულება, საელჩოს წერილი სამინისტროსადმი თანხმობის მიღების თაობაზე და სამინისტროს თანხმობა. რაც ასახული იქნა ამ მუხლში ასიგნების დაზუსტებისას და შესაბამისად ასიგნებამ შეადგინა 39.2 ათასი ევრო

[7] ამ მუხლებში დაბრუნებული დღგ და აქციზის თანხა მუხლების მიხედვით გამოყოფილი არ არის. ცნობილია მთლიანად დაბრუნებული დღგ და აქციზი -11.1 ათასი ევრო.

გაწეულია 26.3 ათასი ევროს ოდენობით, ხოლო 3.1 ევრო გახარჯულია ავტომობილების რემონტზე (ამ მუხლებში დაბრუნდა დღგ და აქციზი).[8]

რეკომენდაცია

- საელჩომ ხარჯების გაწევისას დაიცვას მინისტრის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, კონკრეტულ მუხლებში დადგენილი გეგმიური მაჩვენებლები.

დასკვნა

საქართველოს საელჩოს ლიტვის რესპუბლიკაში ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილი წლიური ბალანსი სამართლიანდ წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, იმ დაშვებით, რომ ბალანსში დაფიქსირებული საბალანსო ანგარიშების წლის დასაწყისის ნაშთები რეალურია.

8 ამ მუხლებში დაბრუნებული დღგ და აქციზის თანხა ცალკე გამოყოფილი არ არის. ცნობილია მთლიანად დაბრუნებული დღგ და აქციზი-11.1 ათასი ევრო.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეპარტამენტის უფროსი:	ხელმოწერა/თარიღი
გიორგი ჯერენაშვილი	23.03.2016.
მთავარი აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
ავთანდილ ვასაძე	23.03.2016.

დანართი A - გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";

საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბის N267 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ";

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N914 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ";

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ";

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ";

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ".